



თეატრი

საყოველ-კვირხო ლიტერატურული და მსატერობითი გაზეთი.

29 ივნისი

გაგონიციება

№ 26

ქვირაოპით

1886 წელსა.

ფასი „თეატრი“-სა წლით სეთი (5) მანეთი, ნახევარ წლით სამი (3) მანეთი, სხვა ვადით ხელის მოწერა ან ჰიაღება. ც ლკე ნომერი „თეატრი“-სა ღირს სამი შაური. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში „თეატრი“-ს რედაქციაში და ქუთაისში მმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Театръ.“

კამაქცია სთხოვს იმ ხალის მოაფართა, რომელთაც ღლამდინინ არ შამოუბანათ ხეღრი უული დაუჩარონ და შამოიბანონ 1 ივლისაჲდ, თორკა პირველის ივლისის შამდგა გაზეთის გაგზავნა მოესაოგათ.

ლექსები ზროზით

ბედ ღამით მიუჩებულ მეუღროებაში შავი და მწარე თეჩრება შიშით და კრძალვით გარბინ და გამორბინ ჩემს საცოდაუ თავში... ვხედავ დიდს მინდვრებს, ვხედავ დიდს მთებს, კარები და კანთა ჩრდილოები რაღაც მოუსვენრად ფუსფუსებენ, რაღაც ტანან-წყვეტაში არიან... რისთვის?



ვხედავ სოფლებს, დაბებს, ქალაქებს... მოგონებანი მიცსოვლდებიან... იქ, მასსოვს, დავიბადე, იქ დავარბოდი აზატად, იქ ვიწოდებოდი დედის შირმში, დედის ნუკეში! სიყმაწვილე უფრო მწუხარე მქონდა ვიდრე მხიარული, ცხოვრების უახგი კურ არ მომცხებოდა, „ჩვეუანა და ჩვეუნის საჭმე ფესებზედ შეკიდა.“ ერთხელ, მასსოვს, ჩვენს სახლზედ საშინელმა გრიგადმა გაიარა... მომიკვდა დედა და მეც, ჩემი მეზობლის ქალისავით.


ობლად დავრბი... დედა! რა ტკბილად ისმის ეგ სიტყვა, რავდენი აზრია ამ სიტყვაში... დედა—ეველაფერიც, რა, დედაც!



ჩემს ნორჩს თავს შავი ღრუბლები ჩამოაწვინენ, ეველაფერს დაეკარგა თავისი სიმშენიერე, ხეებს ფოთლები მოსცვივდნენ, ბაღასები გაუვითლდენ, მიწამგლოვიარე სასე მიიღო, მეც ვგლოვობ! დამარხეს დედა— ზედ ღოდი დაადეს; მეც იმ შავ დღის შემდეგ გულზედ სულ ღოდი მწვეს!



ზამთარია, თოვლი მოდის, დიდს შარავედ ურბეში მოჭრიტინებენ, სორატეულობა მოაქვთ ქალაქისთვის... ჩემთვის ეი სიმწარე... ქარიშხალი ნამქერის ჭერის... სახლები თეთრის სუდართ შეიმოსნენ. ცოცა ეველგან. მეც აძვივდა. დედა არა მეგვს, მამა ვერ ბიუღის, ნანინას ვერ ვისმენ... ტირილი მსურს!... ქარიშხალი გაფავრებით ღმუის. ჩემს გულშიაც ქარიშხალია, სულის სიმები ღამის გამოწყდეს. გულზედ რაღაც მწარე გამოუთქმელი გრძობა მომწვეს—ვიღარჩები... სუ-



ლი მესუთება, ოჲ. ნეტავ დედა ცოცხალი იყოს, და-
მამშვიდებდა, ნეტა ტირილი შემქლავს ცოტად მაინც
დარდი მომეშვებოდა!



ვიზრდები ობლად,—ობლად ვარ, ვინ დამხედავს
ნაწია ბავშვს, ვისი მოსიყვარულე ხელი გამიგრძობს
ტანხელბუფს შუბლს, ვინ მომივლის, ვის შეგებრალე-
ბა? მამას? მაგრამ არა, მამა კაცია, იმისი ჯღერსი ვერ
დამამშვიდებს, იმისი სიმღერა დედის ნანინას ვერ მო-
მაგონებს, ვერ მომაგონებს—ვერა!



ვიზრდები ობლად. გული კერძდება. მარტოა
მსურს,—სულ მარტოდ-მარტო იმ ოთახში, სადაც დე-
და მჯალღრსებოდა, სადაც მისი ნანინა მესმოდა, სადაც
მის კალთებში მეძინა...



გული არა ჩვეულებრივად სტუმს, მინდა სისარული,
გართობა, თავდავიწყება... მეზობლის ქალი სშირად
მიუერთებს—მეც შევსტუმრი—არვივს გვინდა გაცნობა—
ისიც ჩემისთანა ობოლია. კარგი არ იქნება, რომ გავი-
ცნო? რატომაც არ გავიცნობ! ის ხომ ჩემსავით მწარე
ფიქრით ქვეშ არის მომწყვდიული. ყველა ჩემს დარდებს
გაგუზიანებს, ისიც თავის გულს გამისწინს. იქნება
ერთი-მეორეს ვუშველოთ.



მარა გავიცანი. რა გულ-კეთილია! მისი თვალები
გულს მიხვიდებენ. მაგონდება დედი ჩემის ჯღერსი,
ესლას თითქმის ობოლი არა ვარ, რადან სიმშვიდეს
გვრძნობ—ესლას თითქმის დედის კალთაში ვზივარ...
მინდა ვაკოცო, ვაკოცო გიდეც. მისხარის, მწეინს... უო-
კელისფერი ერთად არეულ-დარეულია. ყველა მიყვარს,
მთელი ქვეყანა. ღსენაც მინდა და ტირილიც. ბედნიერი
ვარ? ჯოჯო, მეუბნება ჩემი, ჩემსავით ობოლი, მარა.



დრონი გარბინს, გრძნობები გუბდებინს. გული
ღსინს ექებს. მწარე წარსული სიზმარსავით მაგონდება,
ხალღა გული კი სულ ღსინს, ვნებათდატბობას, თავ-
დავიწყებას თხოულობს. მეც ისე ვიჭრები, როგორც
გული მიბრძანებს. ვინაობ უზომოდ... დავიღაღე!



მესიზმრება მარა, მისი ყუყუნა თვალები, მისი
სწეტავი ჰინის სახე, მისი ბავშური ცელქობა. მთვარეც
შემამეურებს... აი მარცხ გამეხნდა ფანჯარაში... მესმის
მისი ტკბილი საუბარი, გრილი სილა ნახად ებღაძე-
ნება მის გიშრის თმებს. აი, გადამეკონა, ვაკოცო...
გამეღვიძა—გათენდა. სიზრმები და მოგონებანი მვისკვ
განჭრენ...

დაას, ჩემი წარსული მწარეა, იმაშია ჩემი ბედ-
უბედობა, იმისგან მომდინარეობს ჩემი აწმყო, მომავალ-
ლი ჩემი არ არს სასუგემო. თვით კი მე მოვიქანდე, დავ-
მამუნდი. დედა მომიკვდა, მარა სსვას წაჭყვას. ვინ მეტ-
ყვის, რომ ბედნიერი ხარო? არავინ. მარტო ვარ ობ-
ლაღ!...



ბნელ ღამით მიუჩნებულ მეუდროებაში შავი და
მწარე ფიქრები შიშით, ვრძალვით გარბინს და გამო-
ბინს ჩემს საცოდავ თავში;—ერთი მეორესეულ უარესი მო-
გონებანი სულს მისუთამენ, ტვინს მიდუღებენ. საზარო
ქარიშხალი თითქმის აგრძობს ჩემს ანთებულს არსებას,
მაგრამ ეს მსოფლოდ დროებითა, რომ შემდეგ სელ-ას-
ლად მომივიდოს ტანჯვისა ჯლი. წამთარია, თოვლი
მოდის. სმინავს ბუნებას, ნეტავი მზე გამეხნდება-
დეს!...

დედის პირში.

სელოვნება რუსეთში

უკვლას, ვინც თვალ-ყურს ადევნებდა რუსულ
გაზეთ-ყურახლებს, ეცადინება, რომ რუსეთში
არის ერთი გამოჩენილი არტისტი-აქტორისტი ანტონ-
პრონიკინი მიხეილ ვალენტინის ძე ლენტოვსკი-
ლენტოვსკის ისეთი სასული გაუვარდა, რომ არამც-თუ
რუსეთში, არამედ ურსეთშიაც იტნობენ მას, როგორც
ფრად გამჭრიახს და საქმის კაცს. ლენტოვსკი მატა-
რობიდანვე შეზრდილა სტენაზედ—და დღესაც იმპერა-
ტორის თეატრის არტისტად ითვლება. თუმცა სტენას
ათი წელიწადია რაც თავი დაანება, მაგრამ სტენას მაინც
არ მოშორებია, იგი რამდენჯერმე ანტონპრონიკინთან
ყოფილა, ბარემ ხუთი თეატრი აუშენებია მოსკოვში.



ეველამ, ვინც კი მოსკოვში ყოფილა, იცის „ლენტოვსკის თეატრი“, „ერმიტაჟი“, „სასაღხო თეატრი“, რომლებიც დაბადებულან ლენტოვსკის ძეგადინებოთ. 1882/3 წელს მ. ვ. ლენტოვსკი განაგებდა მოსკოვში სუთს თეატრს და პეტერბურგშიც ქმნდა ოპერეტის თეატრი. უგრძელ-გაბეივით ლენტოვსკი ისეთს წარმოდგენებს მართავდა, ისე აწეობდა თეატრის საქმეს, რომ თვით იმპერატორის თეატრსაც ეჯიბრებოდა სიმიდობაში და მორთულაბაში და კიდევ აწარებოდა მათ. მაგრამ ნეკრასავისა არ იყოს **Солнце не вечно сияет, Счастье не вечно везетъ.**

ლენტოვსკისაღ დაუტრიალდა ხარსი უკუდამდ, ერთს მშვენიერს დღეს სრულებით გაკოტრდა, რის გამოც სატრუსაღში ამოეო თავი—ეველას ეგონა, რომ ლენტოვსკის ვარსკვლავი ამოირიდან არ გამობეუნტავსო, მაგრამ რას არ იქს ადამიანის სურვილი! ამ დღეებში გასეთებმა ანობეს მოსკოვის მისწავრებლებს, რომ ისინება ასალი თეატრი სასკლად „ანტიოა“.

თურმე დაულავს და სულ მხეე ვ. ლენტოვსკის კიდეე განუზრახავს ბედის ცდა და აი კიდევ დანიშნულ დროსკედ აუარებელი საღხი მოგროვდა „ანტიის“ ბაღში. ეველან ისეთი მორთულაბა, ისეთი საქმის ცოდნა ეტყობოდა, რომ კაცი იფიქრებოდა ზღაპრულ ქვეყნაში ვიყოთებიო. ელექტრონიული სინათლე, გზი, ვარდი, ევაილები, ხირადღენები, მარმარილოს აუსები თავისის სიმშვენიერით ნეტარებას უსახამდნენ მაფურეულს. დარეკეს პირველი, საღხი დაიძრა თეატრის კარეისაკენ.

თეატრის ზაღაში ჯერ ბნელოდა—უერრივე, თითქოს ვადო-ქარმა უბრძანაო, ანთო ელექტრონიულის სინათლით დიდი და მშვენიერი დარბაზი—საღხს ამის უკეთესი ვერც კი წარმოდგინა თავის გონებაში. რაც-კი შესამდებელი იეო ადამიანისაკენ, ეოველივე აღსრულებაში მოყვანილი იეო. სამოცი კოსთათ ტივინისაკით ჩანმული ბიჭები იდგნენ ეოველ კარების წინ. ათი-ოდე კონტროლიერები ისე შედიდურად გადმოიჭქორედეს, თითქოს ხინეთის ბადღისანი ეოფილიევენ. ორკესტრმა რამდენიმე მშვენიერი არია, ამ დღისთვის შეთს-სურლი, დაუკრა. რამდენიმე სნის შემდეგ საღხი მიხვდა თავის შეცდომას და მთელი თეატრი შეიძრა ტაშის კვრით და ევირილით—სამ ათას კაცამდე ერთათ ევიროდა, ექსი ათასი სელა ერთათ სცემდა ტაშს—ეველანი ევიროდენ: „ლენტოვსკი, ლენტოვსკი! გამოვიდა თვითონ მისეილ ვალენტინის-კე ლენტოვსკი—მაგრამ დაცალეს-და გამოსკლავა!... ერთის თვალის განსამხამებამდე მთელი სცენა ევაილებით, თაიგულეებით და გვირგვინებით აივსო, სინარულს და აღტაცებას სამზღ-

ვარი არ ქმნდა. ქალი, კაცი, დიდი, პატარა გრძობას აეტაცნათ, ერთს სურვილს აეულოათ. ლენტოვსკიმ სიტყვა ითხოვა, სამი ათასი კაცი მისევე განუბდა: „ბატონებო! დაიწეო ლენტოვსკიმ, მე გავიზარდე მოსკოვში, მოსკოვში შევიქენი მე კაცად, მოსკოვშივე გადამსდა მე ერთ გამოუთქმელნი უბედურებანი. მე ვემსახურებოდი მოსკოვს და თქვენ, ბატონებო, პატრონათ, მე თავი და სასელი არ დამიზოგავს თქვენთვის. დრო იეო ისეთი, რადესაც მე მოსკოვის და თქვენს სამუდამოდ მოშორებას ვიფიქრებოდი. დანს, ბატონებო, მე მეგონა, რომ თქვენს მოშორებას მოვასერებოდი, მაგრამ ჰა, მე ისევე თქვენთან ვარ, თქვენს წინაშე. თურმეტი მანეთით მე დავიწეე ეს საქმე და სომ სედავთ რა აგიშენეთ. მე სელ ასლათ მზა ვარ თქვენი სამსახურისათვის—მე ვპროდობ, ვეცადინობ, მე ვაკეთებ იმდენს, რამდენიც შესამდებელია კაცისაკენ!... დანარჩენი, ბატონებო... მაგრამ აქ ლენტოვსკის სმა გაუწედა— ატირდა და გავიდა სცენიდან. წარმოდგენის შემდეგ ერთმა გამომჩენილმა ადოკატმა სიტყვა უთხრა ლენტოვსკის. საღხი დილით დაიშალა.

ამ დღეებში დრამატიული ცენსურის კომიტეტმა განიხილა ასალი დრამა ბ-ნი რიშენისა „La Glu.“ რომელიც ვადუთარგმნია კ. პ. ნოტკაფტს. სასკლად უწოდების „გამაპატიურებელი“ ამ ფრად სანტერესო პიესამ დიდი ეურადღება დაიმსახურა ევროპიულ სცენებზე და პარიუში ათას ორასკვერ წარმოდგენიათ სსვა-და-სსვა სცენებზე—საზოგადოთ, როგორც ამობენ გასეთები, ეე პიესა ადვილი სათამაშოა და ადვილი დასადგმელი ეოველ გვარს სცენასკედ. რუსეთში ჯერ-ჯერობით არ წარმოდგენიათ და ამ სანებში თურმე ლიტოვრანოფით იბეჭდება და მალე ვიდავსაც შეუდგება თეატრალური ბიბლიოტეკა ს. ნაპოიკინისა. ცენსორისაკენ წარმოდგენისათვის ეე პიესა ნება დართულია. არ იქნებოდა ურიგო, რომ სკენ დრამატიულ კომიტეტს ევიდნა ეს პიესა და მომავალი სეზონისათვის რეპერტუარში შეეტანა.





სალხურის ზოგზია

(შეკრებული ს. დონდაქისაგან).

I

ბარსუდანა-შვილი გოგია
 ჭკვიანია და ბმენია.
 ორშაბათ დილა გათენდა
 ძუშა შაჟარა ბევრია;
 წავიდა ენის სამკალათ,
 მნაც დაეუდა სველია.
 ხარხე კიღია სიაფა,
 თავით ბოლომდინ ჭრელია.
 დაჯდა, ნამკალი გალესა,
 ფხაზე აუსვა ცერია.—
 ტახტის გორს შემოურა,
 აქ შველი შემოჩვევია.
 დიდ გუბის ტბაზედ მივიდა,
 წამოეშალა მტერია.
 მიჩეს-მოჩესა ლეკები,
 როგორც ჯაგ-რცხილის წკნელია.—
 იმ ურჯულო ლეკებშია
 კობტა ბელადი ერია
 გოგიას დასცა ტამბახა,
 ზედ მოუკიდა კენია.
 გოგიას ასე ვინა
 ვითომც წვილს აუფრენია.
 გოგიაი დატრიალდა,
 ვითომც მიძინო ჭრელია,
 გოგიას წითელი წვერი
 დიდ უბის ჰირსედ ფენია.

II

ომარსანი რო წავიდა,
 ასე დამრა დადისტანი:
 ვით კამბენი დიდი ძალი—
 ალახანსა, რო მივიდა,
 შეიცადა წუთი ხანი.
 გიძერისა სიდი კადო,
 ზედ გამოდიოდა ჯარი.
 გულიხანას ჯაგრი ჭირდა,
 ოქრო და ვერცხლი იქ არი.
 მოუსდა გულის ხანასა,
 ცისეს გადაუვლო თვალი.
 ექსი დღე-ღამე ესროლა,
 ძეშვიდე დღეს უეო ძალი,
 ციხის კვერდში ნაღბი მიცა,
 შეაცალა ცალი მხარი.

შენ ჩემო ძავო, კამბენო,
 რა დავაშავე შენსედა?—
 საფხულს გითიბე ბალასი
 სამთარს დაგაბი ქერსედა.

მიჭევე-მიჭევე მიჯნასაო,
 ნუ გადახვალ სხვისასაო,—
 თუ გადახვალ სხვისასაო
 ფული კედვას ქისასაო!

ემკის ძთა კადმოვიარე,
 ხმალი მოვიმარჯვიანე,—
 ასე ჩამოველ სოფელსა,



ძალიც არ შევხმინე;
 ასე გავადე ცხრა კლიტე,
 ერთიც არ დავაჩხრიალე,--
 გავსწვიტე ბევრი თათრები,
 სანჯალი ვაბრიალე;
 არ გამიშვია მოამბე,
 სულ ისე გავატიალე!

შეკრებილი სოსიკოსაგან

სალხური გამოცანები

- ა.-- თავი ბუს უგავს--ფეხი წალამსა,
 ნახტომი დევის ჭვალასა.
- ბ.-- ჰატარა რამ კურტანია,
 ახლოს ჭვირთის მომტანია.
- გ. ჩახტა მამალი,
 გახდა ჭყამჭალი.
- დ.-- რწვილსედ ჰატარა,
 კამბეჩსედ დიდი,
 ნაღველსედ მწარე,
 შაქარსედ ტკბილი.
- ე.-- ხმელიდგან სუელი გამოდის,
 სუელიდან შეტად მწარეა,
 ვინც იმასა გამთიცნობს,
 იგი არ არის მღარეა.
- ვ. წუალში ჩავა ნავივითა,
 ხმას გაუშვებს სარვივითა,
 დარბებმა შეინახოს
 მარგალიტის თვალივითა.

(შეკრებილი ზემო იმერეთში სოსიკოსაგან)

ახსნა სალხური გამოცანებისა *
 *ქიზლიჩოთხვა

- ა.—აური, ბ.—სამაბა, ვ.—ლოკოკინა,
 დ.—აბრაუში, ე.—სათი, ვ.—პრასი.

ახსნა არითმეტიკული გამოცანებისა

- 1, ჭია ბოდის წვერზედ იქნება მეათე დღეს.
- 2 XIX—I = XX.
- 3, 1 X 1 = 1.

გულმბრისტიკა

ნ ი ს ს ა

(მოთხრობა დელპისა)

(გაგრძელება **)

მეორე დღეს სალამოს გამოვედი სასიერნოთ. მოტათ რო გავცილდდი სახლს, ვილაც უმგზავსმა ბებერმა ქალმა გამომიარა გვერდით. მას ეტყობოდა რომ რალაც სათქმელი ქონდა ჩემთან. მე მიეუბრუნდი ბებერმა გაიხედ გამომიხედა და, რა ნახა მახლობლად არავენ იყო, მითხრა გაფუჭებულ ინგლისურ ენაზე: „მამაცი ხარ“. ამ კითხვაზე მე გავიღიმე იმ მდელიდურობით და ამაყობით, როდესაც აღამიანს ამ გვარ კითხვას აძლევენ ხოლმე.


ბებერმა გააგრძელა: „ჩვენ ახლა მარტოდ ვართ; ნახვით ვერავენ გენახავს, რადგანაც საკმაოდ ბნელა. შენ გამომეყე მე, შუა გზაზე თვალებს ავიხვევ. საჭიროა, არ უნდა იცოდე სად მიდიხარ და ვისთან.“

მე დავთანხმდი.

ბებერმა გაიღიმა და, ისეც უშნო, ეშმაკს დაემგზავსა. მე რალაც ხმა ჩამძახოდა ყურებში „ნისსას“. ბებერი უეჭველად უნდა ყოფილიყო ნისსასაგან გამოგზავნილი. მე საჩქაროდ შევედი ჩემს ოთახში და გამოვიტანე რევიოლვერი. მაიარა ხუთ-

*) დ. ბეჭდილი იყვნენ № 25.

***) იხილეთ „თეატრი“ № 25.



მა წამმა და ჩვენ ვიყავით გზაზე. მე კარგად ვგრძნობდი, რომ სისულელეს ჩავდიოდი, მაგრამ ზოგჯერ გაუსჯელად ჩადინარ სისულელეს. ნისსა, — ეს უცნობი ქალი, უფლებდა მთელს სხეულს ში რალაც იღუმალის ძალით. მე ის ჯერ კიდევ კარგა არ მენახა და მეტად მსურდა მის დახლოვებით ენახე. მისი მთანი თვალები მიბნელებდა გონებას. მიწვავდა გულს. როცა ჩვენ მიუახლოვდით ღჯუფულის ხიდს ბებერი შეჩერდა, ამოიღო ჯიბიდან რალაც მოქსოვილი, რომლითაც ოსტატურად ამიხვია თვალები. ღა მომკიდა ხელი. მე მივსდევდი მას თვალ-ახვეული საკმაოდ გრილ ჰაერზე შევიტყე, რომ ჩვენ გავდიოდით მდინარეს. მარჯვნივ და მარცხნივ ისმოდა ხმა მოსვირნე ხალხისა. ჩვენში ის აზრიც არ დაბადებულა, რომ შევენიშნე ვისმეს.

ზაიარა კიდევ რამოდენიმე წუთმა და ჩემი წინამძღვარი შეჩერდა; დაიწკრილა გასაღებმა და ბებერმა მითხრა „შებრძანდი!“ მეხუთე ფეხის გადადგმაზე მე ვიგრძენი ფეხ ქვეშ ნოხი. ამ დროს ბებერმა მომაშორა თემლებიდან ასახვევი ღა ამ ნაირათ გაეჩნდი პატარა ოთახში. რომელიც მშვენივრათ იყო მოწყობილი. — ოცტა ხნის შემდეგ მომესმა ფეხის ხმა. მივედი კარებისკენ და წარმოვიდგინე ჩემი განცვიფრება და აღტაცება ერთათ ჩემს წინ იდგა ნისსა—ლამაზი ქალი, 16-17 წლისა. შავი თმა ჩინებულად მოჰყვნოდა მას მხრებამდის. ხაზოგადოთ პირის სახე, თვალ-წამწამი და ტუჩები გეგონებოდა დახატულიაო. ის პირ-და-პირ მიყურებდა თავის ბრწყინვალე, დამშვიდებულის თვალებით, მერმე მომიახლოვდა, მომკიდა ხელი და დამსვა სავარძელზედ.

— ჩემი ქმარი წავიდა ტეგერანში—მეუბნობოდა ანგლისურათ—თუ გსურსთ, ჩვენ შეგვიძლიან უშიშრათ გავატაროთ ეს დღეები სიამოვნებაში. ჩემს პასუხს აღარ მოუტადა—დაჰკრა დოღს. ჯოხი და მოგვართეს ყავა. ნისსამ მიამბო რომ ის საშინლათ მოწყენილია. ღიდი-ხანია შემნიშნა მე და შემომხედა თავის ელეარე ნაზის თვალებით; მერმეთ უცბათ მომეარდა და გარდაეხვია. ჩვენი ტუჩები შეერთდნენ, მე ტანში ყრუინტელმა გამიარა და გამაცივა; მეტის მეტი აღტაცებისაგან აღმოვრეულ დაუძღურებამ გამიარა ძარღვებში. სწორეთ ამ დროს მოისმა ხმა ურობა გვერდით ოთახში. მან სჩქაროდ გამომგლიჯა თავი, გასწორდა და აცახ-ცახდა; მერმე მომიბრუნდა და მითხრა: „ღაიკადე“ და გავარდა

იმ ოთახში, საიდანაც ხმა ურობა მოისმოდა. ხმა ურობა მაინც არ შეწყვეტილა უფრო იმატა, მერმე ცოტა ხანს ბრძოლა და შემდეგ ყველაფერი დაწყნარდა. ზაილო კარი და შემოვიდა ნისსა. მას ფერი დაკარგოდა და თრთოდა.

— ღმერთო ჩემო, რა მოხდა?!

— არაფერი, მომიგო მან მშვიდობიანათ. რამდენსამე ხანს უკან. ეს ჩემი ქმარი იყო; ის უსათუოდ მოგკლავდა ჩვენ და მე უმჯობესად დავინახე დამესწრო.

მე გავშეშდი და არ ვიცოდი რა მექნა.

ნისსა ზიზლით, შემომხედა, მერმე დაუძახა მიგოს პატარა ხანს უკან შემოვიდა გოგო და მე, როგორც შეშლილი, გამოვიქეცი, არ ვიცი რა ნაირად ენახე გამოსავალი. ქუჩებზე სისწრაფით მოვრბოდი და და დაქანცული მოველი სახლში, გავინახე ტანისამოსი და დავწვივი.

III

მთელი ღამე არ დამეძინა. ღილას როგორც იყო ცოტა მიმეძინა. სხვა-და-სხვა აზრებს წარმოდგენა მიფანტავდა ქკუა-გონებას და სწევდა ჩემს ტვინს. მე, ადვილათ შეიძლებოდა, გავხვეოდი ამ ისტორიას და ჩემს თანამდებობას სრულიად ბოლო მოვლებოდა, მთელი დღე გავატარე ძლიერ აღშფოთებაში, ყოველ წამს ველოდდი პოლიციას, თავდასხმას, მაგრამ დღემ გაიარა, არაფერ მოსულა. მეორე დილას მე თვითონ გარდაესწვიტე წავსულიყავ სატრაპთან მახმეტ-აღასთან, რომ რამე შემეტყო მისგან.

მე შევედი კაბინეტში და ახმეტ-ალა დადუმებულ იჯდა დივანზე და აბოლებდა ყალიოხს.

— ა, თქვენ ხართ! როგორ ბრძანდებით? სტქვა მან.

— ძარგათა ვარ—გმადლობთ.

— ახალი ამბავი ხომ არაფერი გაგიგონია?

— ახალი ამბ... ამბავი? არა, მე... მე არაფერი ვიცი.

— თქვენ გახსოვსთ ასთულოა, ის მდიდარი ვაჭარი? საწყალი უეცრივ დაიკარგა.

მე ვიგრძენ, რალაც მომაწვა ყელში; მაგრამ შევიმაგრე ჩემი მღელვარება, რომ არ დავფანტულიყავ და რამე მეტქვა.

— როგორ ის... ნუ თუ.. საკვირველია.

— საკვირველიცაა და მეტიც.



მანმეტ-ალამ როგორღაც ეჭვიანის თვალებით შემომხედა და სიცილით მითხრა:

— ასთულლა უნდა წასულ-იყო თეგერანში და გაქრა უკვალოდ. მაზე არაფერი ისმის.

და მან მეორეთ შემომხედა. მერმე ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა, ბოლოს ამოუშვა ბოლი პირიდან და დაწყნარებულის, მშვიდობიანის სახით დაუმატა.

— არსად არის ასთულლა. დიდ არს აღახი!...

გ. ხოშტარია.

უკანასკნელი დაცვა.

ახალ-გაზდა ვეჩილი მლადიმირი, დაღონებულ და დაქანცული, თავს ძლივს იმაგრებდა სკამზედ თავის მდიდრულად მორთულ კაბინეტში. ზამთრის მოკლე დღე ის იყო თავდებოდა, ოთახს ოღნაე სიბნელე მოჰრევოდა. მღუმარებით გარემოცულს, მლადიმირს თვალ-წინ წარმოუდგა მთელი თავისი წარსილი ცხოვრება, ოცნებამ სრულიად გაიტაცა... სიყმაწვილე, სოფელი, ნათელი მოგონებანი, .. ამათმა ხსენებამ მართლა და კეთილი და გამოუთქმელი აღტაცება დაატყო მის თვალებს. "შემდეგში? ადრე გამოეთხოვა ის სიკაბუეკს, მის ოცნებებს, ადრე ჩაიყურყუმელავა ცხოვების მორევეში, ძრიელ ადრე აღიძრა მასში თავ-მოყვარეობა, ამაყობა: „ან დუშაში, ან —სულ არაფერი;— დუბარა და იავანი სიცოცხლეს მომიწყლავენო.“ ბრძოლა, გამარჯვება, დამარცხება, ცხოვრების უკმაყოფილება—აი რა იყო მისი წარსული; ამან შეჭრივა მის თმას ჭალარა, ამან შეჭმატა მის შუბლს ჭმუნვით ხაზები. თუმცა ბოლოს გამარჯვებაც არგუნა ბედმა, მაგრამ რაღა დროს?—მაშინ, როდესაც ცხოვრებასთან ბრძოლით დატანჯულს, ბედნიერების იმედიც-კი სამუდამოთ დაეხშო. მას სრულის გულით უყვარდა ყველა, ქალიც და კაციც. მდესმე ბედნიერადაც ჰგრძნობდა თავს, მაგრამ ეს ბედნიერება ისეთი დღე მოკლე იყო, რომ ეხლა სიზმარსაებრ ეჩვენებოდა. აი ეხლაც, მართალია სამუდამოთ გამოეთხოვა მას, მაგრამ მაინც კიდევ გაგიჟებით უყვარს. იგი უძღურია ამ გრძნობას წინაღუდგეს... ბედნიერება სამუდამოთ განაშორა გესლიანმა ჭორმა, შურის ძიებაც კი არ შეუძლიან, არ შეუძლიან მაგიერი გადაუხა-

დას თავის გამაუბედურებლებს, არ ჰსურს საღიბის საჭორიკანოდ გაჰხადოს ის სახელი, რომელიც ერთ დროს ღეთაებად მიაჩნდა და ეხლაც გაგიჟებით უყვარსა მაგრამ უნდა იცნადეთ ამავე დროს როგორა სძულთ ის ქალი!

შესავალ ოთახიდან ზარის ხმა მოისმა და ამდროს მსახურმაც შემოალო კარი.

— თქვენ, ბატონო, ვილაც კარგათ ჩაცმული ყმაწვილი კაცი გკითხულობთ, უეჭველად უნდა თქვენი ნახვა, გვარი.კი არ მითხრა.

— სთხოვე...
კაბინეტში შემოვიდა ლამაზის სახის ახალ-გაზდა კაცი, რალაც უსიაიონო, ფოლადებრ ცივი გამოთქმა ეცნეოდა მის თვალებს.

— მე ვინ არის?.. სიზმარში ხო არა ვარ? ჩემი დაუძინებელი მტერი პავლე ჩემთან მოდის!.. რისთვის, ნეტა რას ნიშნავს?..

— ზაგიკვირდით?.. დაჯექით და ყური დამიგდეთ,—უთხრა შემოსულმა. თქვენ ყოველთვის ამბობდით ხოლმე, რომ კაცობრიობისადმი მოვალეობას უპირატესობა უნდა მივსცეთ პირად ჩვენ გრძობა, სურვილზედო, მას უნდა დავამორჩილოთ ჩვენი სიყვარულიც და სიმძულვარეცო, დამიმტკიცეთ, რომ ეს მხოლოდ ლიტონი სიტყვა არ იყო. თქვენ უნდა დაიცოთ უმანკო, უდანაშაულო კაცი. როგორც აქიმს, რომელსაც ავად-მყოფის შეველასა სთხოვენ, ნება არა აქვს უარით გაისტუმროს მთხოვნელი, ასეც თქვენ არა გაქვთ უფლებება ამ საქმის აღების უარი მითხრათ. ნუ გამაწყვეტინებთ, უთხრა პავლემ. როდესაც მლადიმირს მოუთმენელი მოძრაობა შეატყო. აი ბრალ მდებელი ფურცელიც: მე სამართალში მიმცეს დანაშაულობა თაობაზედ. თუმცა წვრილმან გასამტყუვნებელი საბუთებს მანდ ბევრს ჰპოვებთ, მაგრამ ყველაფერს სისულელეს; გარწმუნებთ რომ ადვილად შეიძლება მათი დარღვევა. ჩაუფიქრდით — და უეჭველად თქვენც ამ დასკენას გამოიტანთ. მხოლოდ პირუთნეულად კი მოიქცით!..

— მე არ მინდა, არ შემიძლიან თქვენი დაცვა სხვას მიჰმართეთ ვისმე!..

— არა, თქვენიქნებით, უეჭველად უნდა იყვეთ! სხვა ვეჩილზე თქვენ უფრო ბევრს სარგებლობას მომიტანთ მე. თქვენ სულ იმის ფიქრში იქნებით, რომ პირ უთნეულად არ მომეპყრათ და ამის გამო, შეძლების დავა, ყოველს ღონის ძიე-

ეროვნული

ბას მოიხმართ ჩემს გასამართლებლად. ამასთან, ხალხი დარწმუნებულია თქვენს პატიოსნებაზე და იმაზედაც თუ რამოდნათა გძულვართ. რაკი დაგინახამენ, რომ თქვენა ხართ ჩემი დამცველი, ჰაზრათაც არ ვის მოუვა ჩემი სიმტყუენე და ერთ ხმად გამამართლებს საზოგადოებას ჰაზრი, აი საქირო ქალღმერთი, მოიფიქრეთ, მე აღარ შეგაწუხებთ — მიედივარ.

ქარებში გასულმა დაუმატა:

— შარის თქმას ჩემი დანაშაულობა ხომ არ გაძულვებთ, ან იქნება დარწმუნებული არა ხართ, რომ ვექილს შეეძლოს კაციც ძლიევა?

მლადიმირი მთელი რჩი თვე უჯდა პავლეს საქმეს. რამდენჯერ უნდოდა უარი ეთქვა—უკან დაებრუნებინა ქალღმერთი, მაგრამ რალაც უცნაური ძალა იზიდავდა მას თავის მრწმუნებლისაკენ. დაწვრილებით, უნაკლოლოდ შეისწავლა მან ეს საქმე, სრულის გულით უნდოდა დანაშაულების კვალი მაინც აღმოეჩინა, რომ უარის თქმის საბუთი ჰქონოდა, მაგრამ ამაოდ: სრულიად წინააღმდეგსა ჰხედავდა, ყველა გასამტყუნავი საბუთები ირღვეოდენ. ამ ხნებში პავლე რამდენჯერმე ეწვია მას და საქმეზედ ესაუბრებოდა პავლეს სიარული მლადიმირს წამებად მიაჩნდა რა რალაცა გაშმაგებულის, არა ჩვეულებრივის სიმხვევით აგრძელებდა თვის თავის ტანჯვას: უკანასკნელ დღემდის პავლეს მიღებაზედუარი არ უთქვამს.

ძლივს, გასამართლების დღე დანიშნეს. ამ საყურადღებო საქმეზედ ხალხი ბლომათ შეიყარა

შერ-მიხილს, მლადიმირს საუცხოვოდ მიჰყავს პავლეს საქმე და რალაც უცნაურად, გასაოცრად ჩუბჩულებს მისი ხმა. ხანდისხანა ჰგონია, რომ ეს ვინც ლაპარაკობს თითონ-კი არა, ვილაცა სხვა ვექილიკაო. დაიწყეს გარჩევაც.

წინანდელი თავ-გამოდებული, აღტაცებული ორატორი მლადიმირი აღარ არის აქა. მისი საუბარი ერთ გვარად განუწყვეტლივ მიიხუჩუხებს, როგორც პატარა ან კარა. მაში მოისმის ცივი ჰკუის შედეგი, გასაოცარი მართლ-მსჯელობა, რომელიც სრულიად აუქმებს მის მრწმუნებლის ბრალს.

აი გაათავა. შემდეგ რაც მოხდა ბუნდათ-ლაახსოვს. თავ მჯდომარის სნტყეა... ნაფიცი მოსამართლენი გადიან... ზარი... არა, დამნაშავე არ არის... ტაშის კერა... მული ჰკენეს, სული უგუბდება... ჩქარა აქედამ, შინ!.. არა, ყველაფე-

რი მომეღანდა! მაგრამ ეს ვინ... მაგისტრ... თქმის ფეხდა-ფეხ შეჰყვა მას კაბინეტში.

— ზადით... მაქმარეთ წამება, გადით მეთქი!

— მე მადლობის სათქმელად მოველ, სანამ მაგიერს არ გადაგინდით სად წავალ!..


პავლე მიუახლოვდა ვექილს, მას სიბოროტით დაუწყეს თვალებმა ელვა.

— მე შენ სატრფო წაგართვი და სწორეთ მე მაგისტრის მომიძულა იმან, მე კი ისევე მიყვარს.

მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ის შენზედ ხშირარადა ფიქრობს, შენით ამაცობს. შენ ხარ პატიოსანი, იდეალურად პატიოსანი ვექილი. შენი სიტყვა მხლოდ ნამდვილს სიმართლეს ესარჩლება, იგი ჰქუხს და ჰქექს მარტო არა დამნაშავეთა დასაცველად. ღღეს მეც შემგნო მისი ძალა, სასამართლომ უდანაშაულოდ მიცნო და გამამართლა. მხლა-კი შემიძლიან ყველაფერი ვალვიარო: ეგ საქმე ნამდვილად ჩემი მოხდენილია, ხა ხა ხა!.. გამადლობ, ჩინებულათ ლაპარაკობდი!..

მლადიმირი მთლად გაყვითლებული, ღონე მიხილი ერთის ხელით სტოლის კუთხე ჩაებლუჯა და ყველაფერს ყურს უგდებს. შადა დააყენოს, გააწყვეტინოს და არ შეუძლიან. მული საშინლათ აუჩქარდა, რალაც შემოაწვა, ახრჩობს... ტვალებში სიბნელე მოერივა... მიაჩრდა პავლეს სახეს. მის თვალებს; არა, ეს პავლე არ არის, ეს ვილაც ვეშაპია უკაცური, საზარელი რამ... აგერ იმისაკენ მოიწევს, უახლოვდება, საცა შთანთქმას კიდევ!.. მლადიმირი ინსტინქტიურად ეძებს რასმე თავის დასაცველად... ხელი გაიწვინა, აი მაგრათ რალაცას ჩაავლო ხელი, შემოიქნივა... მძივე ბრინჯაოს შამდალი სწორეთ საფეთქელში მოჰხვდა. ვილაცას. პავლე ხმა ამოუღებლივ დაცა, ერთიც არ ამოუკენესია. მის სიცოცხლე მოკლებულს სახეზე, როგორც ამ ნახევარს საათის წინ, მტრული ღიმილი შეჩერებულიყო. პავლეს თავზედ ადგა მლადიმირი და დასქერის ელდათ საესე და გონება შერყეულის თვალებათ.

ბ. ნ.



ფელეგონი

ქალის ფიქრები ვაჟ-კაცების საქმის შესახებ

რაცა ჩემი ფიქრებით გატაცებული ვიყავი, იმ დროს მეზობლის ოთახიდან ერთის ახლად ჩამოსულის ხმა მომესმა:

— რა ამბავია, თქვე დალოცვილებო—გაიძახდა ის—თქვენ აქ, ვინ იცის, რაებს არ ამტყვევებთ თავსა, მაშინ როდესაც მამული გინდა—სულიდან გვეცლება, საქონელი გინდა ხელიდან გვეცლება, სამართალი გინდა, პატიოსნება—სულიდან გვეცლება... სინიღისი ხომ რაღა მოგასვენოთ!—ისე დასუბდავდა, რომ გროშის ფასად ღირს და სწირად ამ ფასადაც რომ გინდოდეს გასაღება, მსურველს ვერ იშოვი... თქვენ-გი წამოსულებართ, თქვე დალოცვილებო და, ლამისაა, სული ამოგვამოთ: ტრიკუზისი უფრო ღიბერაღვა, თუ დელიანისია;—ბისმარკა უფრო მაღლა სდგას, თუ გლადსტონიო; ნეტარსსენებელი ბავარისი კოროლი მართლა შესცდა ჭკუიდან, თუ ცილი შესწამეს; და სხვა და სხვა! არ ვიცი, დემეტრანო: ჩვენ დაგვიღია პირი და თქვენ შემოგტყეართ, როგორც მე თაურებს, აი, როდის იქნება, თუ სულ შევლა არა, შედავთის მომცემი და საიმედო რჩევა მაინც რამ გავიგონოთ, მაგრამ, აბა, სად არის?.. ოჰ, უიმედობავ!...

* *

სწორედ გითხრათ, უარესად ამირია დავთრები ამ სიტყვებში უფრო გაიტაცეს ფიქრებმა და არ ვიცოდი თავი როგორ შემეკავა, რომ, ცოტაა მაინც, გამერკვია გაცხინდი. მომაგონდა რუსეთის ერთი მღვდელ-მთავრის სიტყვა, რომელითაც მან აზნაურობას მიმართა: „ჭეშმარიტება ერთიაო—სთქა მან. მართს საგანზედ ორი სხვა-და-სხვა აზრის წარმოთქმა შეუძლებელია. თუ მოკამათეთა აზრი სხვა-და-სხვაობს ეს იმის ნიშანია, რომ ან ერთი ან არა დე ორივენი საკამთო საგანს ერთ-ნაირად ვერ ჰხედვენ, ჭაშმარიტებას ვერ ამცნევენ. ამბობენ, რომ კამათობა ჭეშმარიტების აღმოჩენი და იმის შემგნებელიაო. მს მართალია, მაგრამ ყოველთვის არა: საჭიროა ზოგიერთი პირობანი, ურომლოთაც ჭეშმარიტების აღმოჩენა, მით უფრო მისი შეგნება შეუძლებელია;

ლია; სწორედ ეს პირობანი ჩვენ არა გვაქვს. თუ ვართ მოკლებულნი. მიქმნეთ მართალი და ნუ ვზოგავთ ჩვენს თავს ამ ჭეშმარიტების გასაძლიერებლად და ჩვენი მამულის ასალორძინებლად გამოვაშკარაოთ ყოველივე ჩვენი ნაკლულევიანება ღირსეულად.

ჩვენც ჩაუხედოთ ჩვენს ცხოვრებას და პირ-უთუნკლად დავასახელოდ ჩვენი საზოგადოებრივი სენი, სენი არა თუ მთელი ხალხისა—არა, თუნდ ჩვენი ესოდ წოდებულის „ინტელიგენციისა:“ მას არა აქვს საჭირო სწავლა, თავის მოვალეობაზედ ცოტასა ჭეჭრებს და ადვილად უუფრებს თავის მოთხოვნილებათა. აქედამ წარმოსდგება მეორე უბედურება: უარ-ჭეოფა თავის ძაღლისა; ჭკარგავს ყოველსავე რწმენასა თავის თავის, მისი არსებობა უსაგნო არსებობა. ჭსდება და, რა გასაკვირველია, რომ აქედამ ორი ნაბიჯი გადაადგას ამისთანა კაცმა და პირ-და-პირ დარდებში, შავ-ფიქრებში და ბოლოს სრულს უიმედობაშიაც ჩავარდეს იგი?..

* *

აბა, რა იმედები უნდა იქონიო კაცმა მაშინ, როდესაც ამის საშუალებად ერთი ერთს გაიძახის, მეორე—მეორესა, მესამე—მესამესა; ერთი მღვდლის იმედითაა, მეორე—ექვს განყოფილებიან კლასისა, მესამე—თეატრისა, მეოთხე-ვინ იცის რისა, და სხვა. პირველს ხელს უშლის მეორე, რადგან თავისი საშუალება უებრად მიანჩნია; მეორეს-მესამე და ასე ამ გვარად. აბა, რა თანხმობას უნდა მოკვლოდეთ იქ, სადაც ოთხი-სუთი კაცია დაყველანი თავისას გაიძახიან! რა საკეთილ-საიმედო დასანუგეშო საშუალებები უნდა შემოიღონ ამთ საზოგადოებრივის ცხოვრების შესაცვლელად, როდესაც ჯეროთითონ ამთ არ გამოუკვლევიათ კარგათ; რა არის უფლება, განახი და მისი მოთხოვნილება, როგორი შედა-მხედველობა საჭირო საზოგადოებრივის ცხოვრებაში: რა არის პატიოსნება, ზრდილობა და სხვა? ყველა ამავსეში ვერ მოთხანსმებულან და გაიძახიან კი: „არ გვიჭკერებენ, არ გვიგონებენ!“... ოჰ დემეტო!

* *

თავი-და-თავი უბედურება ჩვენი სწორეთაც ეს არის, რომ ვერ შევთანხმებულვართ ერთმანერთში ვერც შრომით და ვერც აზრით. დიდი შოწს გამჭკრეტელობა არაა საჭირო, რომ სთქვას კაცმა, რა ბოლო მოკლას ამ გვარს მდგომარეობას. არც ამ გვარის მდგომარეობა

ის მიზნების ისე ღრმად ჩამარსული ჩვენს ცხოვრებაში, რომ უმთავრესი მათგანი მანც კაცმა ვერ შეამჩნიოს, მხოლოდ საჭიროა პირ-და-პირ შევხედოთ მათ, როცა ისინი თვალში გვეფეთებიან და დაგუფი-ფიქრდეთ.

თავი-და-თავი მიზეზი ჩვენივე ოჯახია, ჩვენი აკვა-ნი, განსაკუთრებით ესრედ წოდებული „ინტელიგენ-ციისა“, სადაც უმაწვილი ისე ცხრდება, რომ ყოველსავე „მოველეობისა“ და „ვალდებულობის“ გაცნობასა ძა-ღიან დაშორებულია; სამაგიეროდ იგი ვარჯათ იცნობს სოღმე იმას, რაც მისთვის მოწითულობის დროს, თუ სულ გამოუდგარი არა, იქამდის მომუხრებულია იმის ცხოვრებისა, რომ გაურჩეველად ეძლევა იმ საქმეს, რომელიც ვეღასრედ უწინ სელთ ჩაუვარდება, ოღონდ გი „პირადის ანგარიშებისათვის“ სასარგებლო იყოს.

ვისაც ჩვენი საზოგადო ცხოვრების გაცნობა შესურს, ვეღასრედ უფრო ადვილად შეუძლია გაიცნოს იგი, თუ დააკვირდება ჩვენს გულტურას ერთის მხრით და სასამართლოებს შერეოს მხრით: გამოიკვლიეთ, რამდენი საქმეები იჩხევა, რა საქმეები, ვინ არის დამ-ნაშავენი, რა დანაშაულობა მიუძღვით და მათს აწყო-სეთ უნებარევი მხარე საზოგადოებისა. საუბედურთ, ჩვენი დრო-გამოშვებითი გამოცემები ძლიერ გულ-გრი-ლად ეტანებიან ამ გვარ ცნობების ბეჭდვას, თორემ შეტად თვალ-საჩინო ხასიათს დავინახავდით ჩვენი ცხო-ვრებისას.

* * *

გულ-გრილად ვუცქერთ თველათერს და ერთი მეორესრედ ემატებიან ყოველს საქმეებში ჩვენი უზრუნ-ველობა. საზოგადოებაც, რასაკვირველია, გაჩუქებულია; თუ სადმეა რამე გამოკვლეული არა გვაქვს, ან თუ ვის-მე სამათხს გამოკვლეული აქვთ, ჩვენ ვერ შეგვიგნია, ვერ შეგვითვისებია, რადგან თვითონ ამათი დამწეებიც ცალკ-ცალკე თავისკენ მიიწევენ.

იმ დროს, როცა ცხოვრების მოთხოვნილებანი გარს მოგვდგომიან და ისე არასუნებენ, რომ ცხოვ-რება ირევენება, აზრები დახურდავებს ეძლევიან, სული ეცემა, რწმენა და იმედები სელთ ეცლე-ბიან... დედას თავისი ქალი ერევენება—იმის დარდიც არა აქვს; აქ ცუცსლს უვიდებენ—არა უშავს რა, თუ მი-სი საწვალი მკობელი ცის ანაბარა რჩება, თვითონ ხომ ხელს მოითბობს; იქ ცარცვა-გლეჯაა, ავაზაკობა; კაცის მოკვლა ხომ კიტრად მიხნიათ—არც ამას უშავს რა; ყალბი საბუთებით სხვების გაუბედურება?

დღეს ჩვენში აღარ არის ისეთი საზოგადოება, რომ გაგვაცნოს მანც, არა თუ გული შეგვიძრწუნოს; ერ-თი იმიტომ, რომ შეტად შეგჩვეულვართ ყოველ გვარ სამაგელ მოკვლენათა ჩვენს ცხოვრებაში; მეორეც იმი-ტომ, რომ რომელიმე მოკვლენამ რომ რამე მთაბე-ჭდილება მოიღოს კაცსრედ, საჭიროა კაცი ფისიხელი იყოს!

მ. შ.

სიმღერა ვლადიმერსკოტა

(დერმონტოვიდამ)

ბრძანებ თავს მომჭრი, ეს კარგად მჯერა.
გნებავს, დამკიდებ საღრრობელასრე,
თვალეებსა დამთხრი და მითი მსერა,
დამეკარვება ამ ქვეყანასრე.

გინდა დამაღზობ საჭურობილეში,
დამიმობილებ ჭირთა და ვნებანს,—
ან სახთლად მისხმარ ბნელსა დამეში,
თვალთ ისილავ ჩემსა ვაებანს.
ან არა დამგლეჯ ნაწილ-ნაწილად:

ჩემის მმოვრითა გაამდმე ყორნებს.
ან მიმცემ პირში შეუბრალებლად
ტურს-ფოცხვერს და სისხლის მწეურვალ მკლებს

არ შემობრალებ! ეს კარგად ვიცი,
მწამს რომ ვედრებან არ გაიგონებ,—
მაგრამ გჯეროდეს და გწამდეს ფიცი;
ამ ჩემს ამაყ სულს ვერ დაიმონებ!

რ. აღისუბნელი



სიმღერა

რამ გავაჩინა, ქალო,
 ლერწმად აჭრილო წელშია?
 ნეტავინ ხელით შეძხო,
 შენ რა ვარდი გქონ შეკრდშია!
 რომ დავისოცნეთ, იქაცა
 კიდევ გიპოვნე შეკრდშია.

* *

შენს იქით, ვინ სთქვა რა იყოს
 ქალი, კაცი და ქვეყანა?
 ოღონდ კი შენთან მამოთუფ,—
 თუნდ ბინას დავსცდე თქმთანა
 მოკუდე შენს დაუტირებლად,
 თუ შეგადარო მშენთანა!

* *

თუნდ სრულად გასწედენ ვარსკვლავნი
 მსკმ ტანთ ჩაიცვას შავები,
 ისეც მხეობას მიხამენ
 შენი ფოთინა თვალები!

ვაჟა-ფშაველი

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

წერილი რედაქტორთან

(სათავად-აზნაურო ბანკების გამო)

(გაგრძელება *)

ახალი გასამართლების შემოღებაც ამასვე ამტკიცებს. მხლანდელი გასამართლების წესდების დაახლოებით მინაგვარი დასწერა ამ საუკუნის დამდეგს მინისტრმა სპერანსკიმ, მაგრამ არამც თუ მი-


*) იხილეთ „თეატრი“ № 25.

სი დაწერილი წესდება მიღებულ-არ იქმნა, ვეცდებით ნებ, იძულებულ იყო მინისტრობაზედაც უარი ეთქვა. ხომ ვერ ვიტყვი კარგი არ იყოვო, რაკი იმას დავადგებით, რომ რაც კარგია დღეს, გუშინაც კარგი იქნებოდა და ხვალაც კარგი იქმნება.

ამასვე გვიმტკიცებს მსჯელობა რკინის გზის შემოღებაზედ. ამ 50 წლის წინეთაც იცოდნენ რკინის გზის სარგებლობა და ფრიად საჭიროც იყო მთავრობისათვის იმოდენა ჯარების და მათი საჭიროების მოსაზიდად; ქვეყანასაც დიდს-ლაზათს დასდებდა და ცხოვრებას გაუადვილებდა, აი, ამ გვარად: 1855 წელსა თბილისში ფუთი ფქვილი ხუთ მანეთად გაისყიდა და იმ დროსვე სამარის გუბერნიაში ათ-შაურათაც არა ფასობდა. ამისთანა შორი-შორს ფასის უსწორ-მასწორობა აღარა ხერხდება იქ, სადაც რკინის გზა და ზღვები შემაერთებელად უძევსთ. მაგრამ რკინის გზა ესლა ძლივს გააკეთეს და არა იმ დროს. სხვათა შორის უმთავრესი მიზეზი ამისი ის არის, რომ ჩვენ გასატანი ნაწარმოები ცოტა გვქონდა, შემოსატანი ნაწარმოები ცოტა გვჭირდებოდა სადა ცხოვრების გამო, და ამ მცირე შემოსატან-გასატანით რკინის გზის მოძრაობაზედ საჭირო ხარჯი არ დაიფარებოდა.

ღანაშთენს ყოველს მაგალითს და საბუთს, ბ, რედაქტორისაგან მოყვანილს, ერთი და იგივე პასუხი ეკუთვნის და მით ეს წერილიც შემოკლდება.

ორივე გუბერნიის თავად-აზნაურები არაფერს შრომას არა ვართ შეჩვეულები და ფულს სასარგებლოდ ვერ ვხმარობთ, რა-გინდ გზითაც იყოს წაშოვნი. ამის მცოდნე თავად-აზნაურთა არჩივს, რომ ქმების ნაცვლად მისაღებელს ფულს ცოტა რამ გადავარჩინოთ შემდეგისათვისო და ასეც შეასრულეს. ახლა ჩამოვარდა ლაპარაკი იმაზედ, თუ როგორ ვასარგებლოთო ეს ფული. ამ კითხვამ თავად-აზნაურნი ორ-ნაწილად გაჰყო: ერთ-მხარეს იყვნენ საქმის უცნობნი, განუსჯელად მოსწრაფენი ყოველის ახლის შემოღებისა და მათ უძლოდნენ წინ მადა-ყნოსვის დაუმაყოფილების მიმდევარი და მომიმედენი. მსენი შეადგენდნენ უმრავლესობას; მეორე მხარეს იყვნენ გონიერი და უანგაროდ მსურველნი თავად-აზნაურთა კეთილდღეობისა, პირველნი სწრაფობდნენ ბანკების დაფუძნებასა, თუმცა სხვა და სხვა მიზეზისა გამო, მეორენი კი არჩევდნენ მოცდასა ვიდრე ფულთან მტრობასა მეგობრობად შეეცვლიდით და საზოგადო საქმეს ისე ფხიზლად და გულს მოღვინედ შე-



გებრძოლით, როგორც კარგი მკურნე თავისს კერძო საქმესა. ამ შეცილებების დრომ ორივე ვიხარეს ჰქონდათ მხედველობაში, რომ ბანკებს ვაფუძნებთ საკუთრივ ჩვენთვის და არა სხვა უმრავლესობისათვის გარეშე ჩვენსა, და ამიტომაც ერთნი საბრხედ და საწამლავად ჰხედდნენ ბანკებს, და სხვანი კი თავად-აზნაურთა გაჭირვების წამლად უწოდებდნენ. მოკლედ ვსთქვათ: წამლად იქმნებოდა ბანკი თუ საწამლავად, საკუთრივ თავად-აზნაურებისათვის იქმნებოდა, და თუ თვისსა გარეშე სხვა უმრავლესობა სახეში ეყოლებოდათ, მაშინ სიტყვა მოკლედ ითქმოდა და ამდენი ლაპარაკი არ დასჭირდებოდათ.

რადგან „ივერიის“ რედაქტორი იგივე ბანკის მმართველობის თავ-მჯდომარეა და გარემოების უცოდნელობას ვერ მივაწერთ, მცოდნესაგან კი აჟინება, რომ თუ ვინმე ფულის მოვლა არ იცის, ბანკი რა უშაშიაო; რომ საპოლიტიკო ეკონომიაში არსებობს რკინის კანონი, რომლის ძალითაც ქონება უთუოდ გადადის უსაქმური პატრონისაგან მხნედ-მომკმედ პატრონთან; რომ ზოგსა თუ სწყენს ბანკი, ამით მისი უღრობა არა მტკიცდება, რადგან უმრავლესობასა ჰრგებს, რომ მეცნიერება და გულ-დასმითი მსჯელობა ყველგან სარგებლობას ამტკიცებენ საადგილ-მამულო კრედიტისას და ჩვენ-შიაც სასარგებლოაო, და სხვანი, — ამ გვარი აჟინება სრულებით პასუხი არ არას საქმის შემომოყვანილი გარემოებისა და მიეგვანება შემდეგ მაგალითსა.

მრთი ვინმე ემზადებოდა ავლაბრის ხიდიდგან (ქუთაისელს შეუძლიან ქუთაისური ხიდი წარმოიღვინოს) გადახტომას წყალში საბანაოდ და მეორე ურჩევდა ხიფათს ნუ ეძღვევიო, რადგან ცურვა არ იციო; ამ დროს მოესწრო რაოდენიმე განუსჯელად მოლაპარაკე და ერთიც მადა-ყნოსეა გაძლიერებული კაცი. ამან დიდად უქო ბანაობის სარგებლობა, საქმეც გაუადვილა მხოლოდ იმ პირობით კი რომ ჯიბე ამას ჩააბაროს; განუსჯელად მოლაპარაკენი ამას დაემოწმნენ, საქმე გადასწყდა და შესრულდა. მაიჩხო ბანაობის მოსურნე, მრჩეველი კა ჯიბეს ჩაბლუსის. ბულ-შემატკივარმა ვინმე უსაყვედურა ამას, რომ შენც იცოდი იმ უბედურს ცურვის გაგება არა ჰქონდაო და რად ურჩიე ბანაობაო. ამასზედ მოჰყვა, ბატონო, ეს ახირებული კაცი და უმტკიცებს კირის-უფლებს, რომ ვინც ცურვა არ იცის, წყალშიაც არ უნდა გადახტეს;

რომ ბანაობის მსურველთ უმეტესობამ ცურვისას და სარგებლობასაც ჰხედეს, და სხვანი, — ამასზედ მოაყოლა თეორია ამ დასაწყისით: (შეადარედ პირველი სტრიქონები „ივერიის“ № 122 — ბანაობის აე-კარგიანობის დაფასება და აწონვა ვისაც უნდა, იმან ყველაზედ უწინარეს ბუნება უნდა გაუსინჯოს თვითონ ბანაობასა იმ მხრით: უხდება თუ არა ჯანმრთელობას. ამის გარეთ ყოველი სჯა და ლაპარაკი (მაგალითებრ ცურვის უცოდნელობაზედ) უქმია და უთავ-ბოლო.

რაკი მაგალითი მოგონილია და არა ნამდვილი, ამისთვის ნება მივეცი ჩემს თავს წარმომედგინა იმისთანა ახირებული კაცი, რომელსაც ცოტაოდენი სწავლა აქვს, მაგრამ ამ სწავლას ისე არა ხმარობს, როგორც სოფიზმებსა და საქმის მიუყენებელ ავტორიტეტებსა.


მაშ რა დაშთენიათ ნებისით და უნებლიედ ბანკის დამფუძნებელ და აგრეთვე ურთი-ერთ თავდებობის წევრთა? დაშთენიათ ის-ღა, რომ ცნობიერად გულ მოდვინედ და ფხიზლად ადევნონ თვალი და გონება ბანკების წარმოებას; ზედამხედველი კამიტეტის წევრებად აირჩიონ ისეთი პირები, რომელნიც ან იცნობდნენ საქმეს, ან გაცნობა შეეძლოსთ და სურვილი აღვიარონ, და მზად იყვნენ ყოველი წარმოების ნაკულულებანება და დანიშნულს წრეს გარდახდომა პირ-უთნებელად ამხილონ და კრებასაც მოახსენონ ხოლომე, თორემ...

ალექსი კვალიაშვილი.

14 ივნისს 1866 წელს.
ქ. გორი.

თეატრი და მუსიკა

აქაურმა ოპერამ კიდევ დაასრულა თავისი წარმოდგენები — წარსულს მანასკვეს 20 ამ თვისს უკანასკნელი წარმოდგენა იყო გამართული. საზოგადოთ ამ სეზონში ოპერა ბ. ფითოქეს ცუდათ მიჰყავდა, თუმც 24,000 მან. ღებულობდა მთავრობისაგან სუბსიდიათ. მხოლოდ ერთად ერთი არტისტი — მომღერალი ყვანდა ბ-ნს ფითოქეს და ისიც ამ ბოლოს დროში. კვ არის ბ-ნი ბორისოვი, სიმპონატორი თეატრის არტისტი. 20 აპრილიდან 20 ივნისამდე გამართული იქმნა ხუფ 51 წარმოდგენა. ამ 51 წარმოდგენაში სულ თერამეტა



აზერა იყო ხათამაში; მაგალითად: კარმენი 6 ჯერ, მაზევა 4-ს, ნეგინ 2—სევილიელი დალაქი 5—მაკ-კაევი 5. ჯიაკონდა 4 ჯერ. დემონი 3. ვალკა. 3—
 ჭაუსტი, ჟინზ ზა ცარია ორჯერ რიგოლეტო, ნო-
 რმა, აფრიკანკა, ერნანი ორ-ორჯერ, რუსალკა და
 გუბერტი თერთო ჯერ.

საზოგადოთ ამ სეზონში ბ-ნს ფითოეკს აკლდა
 ბუერი სმები—სრულებით არ ვუხნდა კონტრ-ალტო,
 სოპრანო, და პირველი ბარიტონი—სოროსედ სომ
 სულ არა ითქმის-რა.

სასურველად რომ ამ დიდ სუბსიდიასთან, ბ-ნმა
 ფითოეკმა ხეირანი დასი იყოლიოს სოდმე, თორემ
 ცუდი ენები ცუდს სმებს ყრთან ბ-ნი ფითოეკის შესა-
 სებ.—

ხმა წასული ბარიტონი.

ბუერს ჩვენს მკითხველებს ესსომებათ და უხანავთ
 კიდევ აქაურ რუსულ სჟენაზედ არტისტი—ქალი ელი-
 სკეტა გორეკა, რომელიც ამ ხანებში ბერდინში იმ-
 ყოფება და დიდის აღტაცებით მიღებულია გერმანიის
 დედა-ქალაქში. გორეკას პირველი დებიუტად აურხევია მ-
 რია სტუარტის როლი, ამავე სასელის პიესაში, თხზუ-
 ლება შილდერისა. პატივცემული არტისტი—ქალი, მ-
 რია სტუარტის როლს თურმე რუსულ ენაზე სთამა-
 შობდა, მაგრამ ამ გარემოებას დიდი ენება არ მოუტა-
 ნია, როგორც მოთამაშესათვის, აგრეთვე მაყურებლები-
 სათვის. ყველა ნემეცური გაზეთები დიდის ქებით ის-
 სენიებენ ელიზავეტა გორეკას და ყველანი ერთ სმივ
 ამტკიცებენ, რომ იგი პირველი დრამატული არტი-
 სტი ქალი არის, რომელმაც ისეთის სინამდვილით
 და უტყუარობით გამოხატა გენიოსი დრამატურტის
 გმირი ქალი, და რომლის ბადალი ჯერ გერმანიელებს
 არ უხანავსო.


როგორც ამოაბენ გამოჩენილი რუსის არტისტი
 ანდრევი, ბურღაეი იალტაში გარდაცვალებულა. ანდრევი-
 ბურღაეის სიკვდილი დიდს ენებას მოუტანს რუსულ
 კრონულ სტენას რადგან გამოჩენილი სამარონის შემ-
 დეკ, მის მაგიერობა მსოდოდ ბურღაეს შექმლო. უმე-
 ტესი ნაწილი ჩვენი მკითხველთა უმტველად იცნობდნენ
 ბურღაეს სტენაზედ. განსვენებული თბილისში ხშირად
 თამაშობდა, და ამ წარსულს მარხვებში ორი კონტრ-
 ტი გამართა ჩვენ ანწრუნისეულ თეატრში.

ხმა სხვა-და-სხვა კუთხიდან

„თეატრის“ კორესპონდენცია.

დ. ლანჩხუთი. 1886 წ. ივნისის 22-ს.

ბრ ვიტყვი უხსოვარის დროიდან და ეს კი
 გაბედვით შემძლია აღვიარო, რომ გურულები
 ერთს კაცობრიობის ჩირქის წამცხებელ სენს-სიმ-
 თვრალეს მოცილებული იყენენ 1850 — 1870
 წლამდე. მს ჩემის ფიქრით მიეწერებოდა ღვინის
 სიძვირეს და გასაჭირ მისვლა-მოსვლას სხვა მხარე-
 ების პირებთან. ამ ღვინის სიძვირის დროს—ოცი
 წლის განმავლობაში ხალხს სულ სხვა ლტოლვი-
 ლება ჰქონდა; მაგრამ ვერც ის ითქმის, რომ ყვე-
 ლა მათი ლტოლვილება კარგი ყოფილიყო. თუმცა
 ამ ოცი წლის ღვინის ცუდ მოსავალმა, ამ ოც
 წელში სიმთვრალე თითქმის მოსპოა, 1870 წლი-
 დამ ღვინის მოსავალმა თან-და-თან იმატა. და ღვი-
 ნის წარმოება უკეთ წავიდა. ბოლოს ოსმალეთის
 საზღვარი გურულებს დროთა ვითარებამ მოაშორა.
 ქურდობა, კაცის ცარცვა-გლეჯა დიდ სამძიმო სა-
 ქმეთ შეექმნათ გურულებს. ღვინის მოსავალმა,
 როგორც მოვიხსენეთ, ერთად იმატა და მეორეთ
 ასეც რო არ იყოს, რადგან რკინის გზის შემწეო-
 ბით ზემოთიდან ღვინის მოტანა გაუადვილდათ,—
 დღეს ჩვენში განსაკუთრებით დ. ლანჩხუთში ღვი-
 ნოს თითქმის იგივე ფასი ადევს, როგორც იმე-
 რეთში. მრთის სიტყვით ხალხის მდგომარეობამ ამ
 მხრით ცოტა გაუმჯობესდა, მაგრამ ამ კაცის და-
 მაბრკოლებელმა სენმა-სიმთვრალემ თუ როგორი
 ფართო გზა იჩინა გურიის სხვა-და-სხვა მაზრებში
 და ზოგიერთ სოფლებში, მას კარგი ენა-მჭვერი
 კაცი უნდა, რომ გამოთქვას; თვე არ გავა ისე;
 რომ არ გაიგონო, რომ რომელიმე „პრანჭიას“ და
 თვალ-გასისხლიანებულ ღვინით მთვრალს ვინმე
 საწყალთაგანი სადმე კრებაში, ან ქორწილში ან
 არ მოეკლას და ან ისე არ დაეჭრას, რომ მათი
 ცოლ-შვილი ულუკმა-პუროთ არ დარჩენილიყოს.
 ბევრი ყოფილა იმისთინა შემთხვევა, რომ სადმე
 სოფელში ღვინის სმაზედ აყალ-მაყალი მოსვლიათ
 და, როდესაც ერთმა ბედკრულმა ვერ შესძლო ყან-
 წის დაცლა, ბევრი კეტები უთაუზებიათ მხარ-ბე-
 კებზედ და ხანდის-ხან პატრონისთვისაც კი ჩაუბა-
 რებიათ




ბი ერთი დღად სამწუხარო მაგის მაგალითი, რომელიც მოხდა დ. ლანჩუთში ამ იენისის 8-ს ბ-ნი—ბნანია ბ. სიმთვრალის დროს მოკლა ჯოხის თავზედ ღარტყმით მედუქნე მ. ივანე მაშინ, როგორც საზოგადოთ მიღებულია, დამნაშავე დაიჭირეს და წინა-გამოკვლევის პროტოკოლითურთ წარუდგინეს სადაც ჯერ არს. მოკლულის გვამის გასასინჯავით და შესამოწმებლად მობრძანდა ოსურგეთის მან-რის ექიმი ბ-ნი ლედიანიცი. შემდეგ თვით უფ. ჩახატაურის მომრიგებელი ბ-ნი მფიმოვიცი.

გურულობანი.

ნ ა რ ე გ ი

„კითხვა და პასუხები“



ბატონო, რედაქტორო!

მედი მაქვს ამ ჩემს წერილს ადგილს დაუთმობთ თქვენს პატრიცემულ გაზეთში, რადგან თქვენ თვითონვე შემოგიღიათ თქვენს გაზეთში ისეთი განყოფილება, სახელდობრ: „კითხვა და პასუხები.“ სადაც ყველა თქვენი გაზეთის სელის მომწერლებს თავისუფლად შეუძლიანთ სწერონ ის, რასაც საჭიროდ და საგულისხმოდ დანახამენ. მეც, ერთს თქვენი გაზეთის სელის მომწერთაგანს მსურს მივსტე ერთი საგულისხმო კითხვა ყველა თქვენი გაზეთის მკითხველს.

საქმე იმაშია, რომ მე სშირად დავსწრებოვარ ქართულს და აგრეთვე რუსულს წარმოდგენებს, სადაც ნუბა უნებლიედ გონებაში ამიღებრია შემდეგი კითხვა: „გრძნობს თუ არა არტისტი რასაც თამაშობს, ანუ რასა გრძნობს არტისტი თამაშობის დროს?“ პირველ შესვლით თითქმის ადვილია ამასედ პასუხის მიცემა, მაგრამ მე საქმე სულ სხვა დამახანავა. ბევრჯერ ვცდილვარ, ბევრჯერ მიფიქრნია მაგრამ ბოლოს ჟურავან დასკვნამდინ მაინც ვერ მივსულვარ. ამის მიზეზი რა თქმა უნდა ერთის მხრით იმაშია, რომ მე აკტიორი არა ვარ და მასხადამე ჩემს თავზედ არ გამომიცდია ის, რის ასხსნაც მსურდა. ეს გარემოება რა თქმა უნდა ბევრად მანრავლებდა. ამიტომ ბატონო, რედაქტორო, მე თქვენის გაზეთის საშუალობით უნდა მივმართო

ყველა ჩვენ ქართულ არტისტებს, რათა ვინმე მათგანმა ამასხსნას ეს კითხვა...

პირადათ მე ბევრს დავკითხუებოვარ, ბევრიც წამიკითხავს, ამ საგანზე მაგრამ ჟურავანი პასუხი ვიძიებოვარ არ მღიბსებია.

მე თუძცა ვსთქვი, რომ ქართული არტისტები ეისხნაან ზემა დასხმულ კითხვას, მეტქი, მაგრამ ამით ამინც ის არ გამოდის, რომ მხოლოთ არტისტებს შეეძლოთ ამ კითხვის გადაწყვეტა—როგორც ყოველი ფსიხელი არტისტი, აგრეთვე ყველა განვითარებული კაცი ძალ-ღონისამებრ წარმოსთქვამს თავის აზრს, მით უფრო, რომ ევ საგანი მომეტებულად ეკუთვნის ფსიხოლოგიურს გამოკვლევას—მაშ ბატონო, რედაქტორო, შემიღიანს იმედი ვიქონიო, რომ თქვენ ადგილს მისტყმით ჩემს წერილს და ამასთანვე სხვებსაც, ვინც ვი მოსურვებს პასუხის გაცემას, ადგილს არ დაუჭერთ.

ბოლოს ეს უნდა ვსთქვა, რომ რაც უფრო ძალე მივიღებ ამ საგანზედ პასუხს მით უკეთესია, რადგან ეს კითხვა არამც თუ მარტო ჩემთვის, არამედ, ვგონებ, ყველასათვის საინტერესო უნდა იყოს. ამასაც დავუმატებ, რომ პასუხის მიცემაში არვინ არ უნდა მოარცხობდეს. ვისაც რა შეუძლიან ისიც კარგია და თუ ამასაც მოვიგონებთ, რომ გაზეთში ადვილი ყველას აქვს დათმობილი, მაშინ მოარცხობას და სიხოთიერს ადვილი არ უნდა ქქანდეს.

თქვენი ხელის მომწერი № 171.—შვილი.

გვირიდან გვირამდე

◆◆ ჩვენ შევიტყუეთ, რომ ჩვენი დამსახურებული ძველი მწერალი თ. რაფ. ერისთავი რუსულ-ქართულ ლექსიკონს ადგენსო. ამ ლექსიკონში მიღათ შეტანილია საბა სულხან ორბელიანის ლექსიკონი და თვით რაფ. ერისთავისაგან შედგენილი და გამოცემული რუსულ-ქართულ-ლათინურ მცენარეთ ლექსიკონი, რომელიც 1873 წ. კავასიის სამეურნეო საზოგადოების წერილებში დაიბეჭდა და 1882 წ. ალექსანდრე ეპისკოპოზმა მეორედ ცალკეც გამოსცა.

ჩვენ ლაპარაკი გვქონდა ჩვენს უხუცეს პოეტთან და მან სთქვა: რომ ჩემი ლექსიკონი ჩუბინოვის ჟუანასენელს ლექსიკონზე ბევრათ დიდი და მდიდარიო. ჩუბინოვის ლექსიკონზე ორჯერ უმეტესიაო. ღმერთმა ქმნას, რომ ეს ფრიად სასიამოვნო შრომა ძალე შეესრულებინოს და მით აღესრულებინოს ჩვენი



საქართველოს
საბჭოთაო
საზოგადოებრივი
საბჭოთაო
საბჭოთაო

საჭიროებაცა, თორემ დღევანდლამდისაც ერთი სერიანი ლექსიკონი არ გვაქვს, რომ იგი წარმოადგენდეს სრულს კრებულს ქართულის ენისას.

ამ დღეებში ჩვენ ვნახეთ ერთი ძველი ხელთ ნაწერი ხუცური წიგნი. ხუცური ასოების გარეგანი მსგავსება და თვისებები ერთ რაღაც საოცარს და უცნაურს საგანს წარმოადგენს. წიგნი დაწერილია პერგამენტზედ, ასოებში ძალიან ხშირად არს ხმარებული ასეთი ასოები, რომელნიც ერთის შეხედვით ბერძნულს, სირიულს და ებრაულს წაჰგვანან. ეს სახარება თავის პალიოგრაფიით მეტის-მეტათ განსხვავდება როგორც მეზიდეს საუკუნის ხელთან, ისევე მეათესი, მეოთხმეტის და მოკლათ შემდეგის საუკუნოების ხელთანაც. ჩვენისთქრით ეს წიგნი დიდად საყურადღებოა ჩვენთვის და განსაკუთრებით იმათის ვინც ჩვენის ენის პალიოგრაფიის შესწავლას მისდევენ.

ამ წიგნის შესახებ ამ დღეებში ცნობები გადაეცემა ჩვენს ისტორიკოს და არხელოგს დ. ბაქრაძეს.

ჩვენს ხელოსან ხალხში დიდი ნაჯვრა ისმის იმის შესახებ, რომ მათი სახელოსნო სამართველოს წესდება და საგლეხო გარდასახადის სამართველოს წესდება ქართულათ გადმოთარგმნოს და ცალკე წიგნებათ დაიბეჭდოს. უამწიგნებოთ ჩვენს საბრალო მეშეს მრავალი გაიქვერა ვითომც და ხელოსნობის თავი კაცები ატყუილებენ და ხშირად 10 მანეთს მაგიერ 25 მ. ახდევინებენ. ამას გარდა ამ წესდებაებში ბევრი ისეთა რამეებია შეტანილი და დამტყიცებული უმაღლესის მთავრობისაგან, რომელიც საჭიროა, რომ ყოველ მუშა ხელოსანმა ზეპირათ იცოდეს და მით ხელმძღვანელობდეს, როცა მას რამე დასჭირდება.

ესლა ჩვენ გადმოგვცეს, რომ ამ წესდებაების თარგმანს ორი ყმაწვილი კაცი შესდგომია და როგორც ისმის ორივე წესდებაები ცალკე წიგნათაც დაიბეჭდება.

რამბო-რუმა

ზილბანკე მკედონისამ როდესაც ღაკანია დაიპყრო, ასეთი ბარათი მისწერა ღაკანიელებს: როგორ გსურთ მოვიდე თქვენთან: როგორც მტერი, თუ როგორც მოყვარული?

— არც მოყვარულ და არც მტრად! უშასურეს ღაკანიელებმა.

გამოჩენილი მეტრულთა სშირად ამბობდა: მე რომ დარწმუნებულ ვიყო რომ ჩემმა ტანისამოსმა ეკვდა ჩემი საიდუმლო იცისა, მაშინათვე ტყველში ჩაკვდებოდა...

ერთხელ სიმონიძემ სადილზედ სთქვა: **ბიჭო, ბიჭო** — ბუდი მისწევლია ჩემი ენის გამოყოფა, ხალხი არავის არა უთქვამს-არა, როდესაც ჩემად ვყოფილვარა —

კვირა დღის საღამოა, მთელი ქალაქი სიტყვების გამო მუშტადისა და მის ხალხ-მასლო ზადებშია გატევილი. ალექსანდრევის ბაღში თითქმის ჩამი-ჩუმი არ არის, მხოლოდ ერთ სკამიკათაგანსზედ ზის ერთი დიშინი სოფელიდგან ჩამოსული თ...-შვილი და გამოყვეჩეზულსავით აქეთ-იქით იფურება.

ამ დროს გამოიარა ერთმა ვინტომ, მიხედ მოახედა, შესედე რომ არავინ იყო ბაღში, ბაიუშივით მარტოდ მჯდომ თავადი-შვილს მოჰქრა თვალი და გოცებით წამოიძახა: „ააა!“ — რადღა ეშმაკურმა ასრმა გაურბინა თავში და მტვრევით და სასაცილო ღმეჭით მივიდა თ...-შვილთან.

— კნიაზ! შენი ღმერთის ჭირბიქე, გამაგებინე ერთი, რამდენი საათია ესლა?

— რვას ოცი წუთი აკლია.

— თუ ძმა ხარ! მართლა! ერთი სიტყვაც კნიაზ-ჯან, რვა შესრულდეს თუ არა, ერთი ლოთინასად ბარაგუნეს ამოუსვი, სთქვა, კალთები აიწია და მოჰქურტს-ლა ვინტომ.

— როგორ თუ ამოუსვი, აი დედი-ჩემის ღმერთსა!.. ვის უბედავ, შეწუწკის შვილია?!.. შექვეირა გაბარა-ბუღმა თ...-შვილმა, ხანჯალს ხელი გაიჭრა და დედეკან უკან ვინტოს.

არ გაუვლია სულ ათიოდე ნახევრი, რომ მეორე ვინტო შემოეყარა წინ, დაინახა, რომ თ...-შვილი ვინტოს მისდედა და შეაყენა.

— ჭა, კნიაზ, ღმერთები ხომ არ გაწუხებენ, ვის მისდევა?


— როგორ თუ ვისა! ეგ წუწკის შვილი, ეგა! მე ვუჩვენებ მაგასა!.. არა, როგორ გაბუდა, როგორ გამიბუდა-მეთქი, შენ გეკითხები.

— დაიცა, დაიცა, კნიაზ-ჯან! დალოცვილო ბლუკუნა დავითა ჩავიუღანავს, რამოდენასა ჭევირი! ჭაა, ეშმაკები გონნიდას ხომ არ გეთამაშებინა? გამაგებინე ერთი რა იყო და, დალოცვილო!

— როგორ რა იყო, რა იყო და ის იყო, რომ საათი მკითხა, რვას ოცი წუთი აკლია მეთქი და რომ შესრულდეს, აბარგუნეს ამოუსვიო. ეგ მ... ძაღლი, ეგა, როგორ გამიბუდა, ჭა?

— ესლა რამდენი საათია, კნიაზო? დამშვიდებოთა ჭეითხა ვინტომ აზილბილეზულს თ...შვილს!

— ხუთი წუთი აკლია რვას.



— დაღრცვილო, მერე რა განქარბება, ჯერ ხომ არ შესრულებულა. რაღა შესრულდება, შენც ამოუსვი რაღა. წენარად წარმოსთქვა კინტომ და განშორდა გაჭკაპებულს თავადიშვილს.

— ?!!

დალაქი იეშია

ერთხელ წამთარში ორი ჩვენი უდიდესი ზოკტნი: ი... და ა... გაყინულზედ მიდიოდნენ. უეცრად ა... გაყინულზედ თეხი გაუსსლტდა და წაიქცა. ი... მიამახს:

— ანა, რაღა ხართ... ეგეთი თხიკიანი—ხელა ვერ გაივლიდით?

სწორედ ამ დროს ა... გაუსსლტა თეხი და ისე მძიმედ წაიქცა, რომ ადგომაც გაუძნელდა; მამის ა... დიმიდით მიუგო:

— მეტად დაბნახილებია... ხართ... თუ ერთხელ წაიქცით, ადგომას აღარ ჭფუქრობთ!

იანი

თავადი ო. დ., როცა... მამრის უფროსად იყო, ერთს დღეს დილის ცხრა საათზედ შევიდა მის სასლში გ. თ—შვილი და მოურიდებლათ პირდაპირ მის ოთახში გასწია. მამრის უფროსმა გაჯავრებთ მიამახს:

— როგორ გაბედე ასე ადრე და ისიც უკითხავად შემოსვლათ?!

— უეცრავად, ბატონის-შვილო, მე ვიცი თქვენ დიდი გაცი ბრძანებით, მაგრამ მე დ...ნ კი არ ცხლებივარ, არამედ მამრის უფროსთან მიველიო, უზახუს გ. თ—შვილმა.

ილია სენაველი

ჭკუის სიღარიბე



იმდიდრე სშირად სდება სოღმე სიღარიბის შედეგად.

(სენეკა)

ის ძალე ვერ მაღწევს ღირსეულებებს, ვინც მართო ფულისათვის შრომობს.

(მიქელ ანჯელო)

რად მინდა სმალი, თუნდ იყოს მჭრელი, თუ სიპაოთღისთვის დამინლუნგდება?

(ილია ჭავჭავაძე)

დეკ, ვინაც ჭსურს ჭვენიერების ამადლება, ყოველად უწინარეს თვითონ ამადლდეს.

(სოკრათი)

მას ხუდარ ვსტირით, რაც დამარხულა,

რაც უწყაღას დროთ სელით დანთქმულა!

(ილია ჭავჭავაძე)

მოვესთა გაყრა გამსგავსე ჭოჯოხეთის აღებს.

(ქილილა და დამანასავან)

ერთგვრის“ ფოსტა

ბ—ნს „ზეპულას წინასწარმეტყველობის“ ავტორს თქვენი პაწია მოთხრობა სამწუნაროდ ვერ დაიბეჭდება. მიზეზს ენლავე მოგახსენებთ. ყოველ ნაწარმოებს, მეტადრე ბელეტრისტიკულს, მაგალითად: მოთხრობას, რომანს, პოემას პიესას და სხვას აუცილებლად რამე არაკი (ფაბულა) უნდა ჭჭონდეს, რომელიც უნდა იწვევდეს მკითხველის ყურადღებას ისე, რომ ყოველი ახალი სტრიქონის შემდეგ ინტერესი თან და თან იზრდებოდეს, მოქმედება *crescendo* მიდიოდეს;—გარდა ამისა მოთხრობის ენაც და კილოც სულ სხვა ნაირია—ესე იგი სუბტილადვილი გასაგები: გრძობიერი, მოკლე და მარტავი. თქვენი მოთხრობა კი ამ პირობებს მოკლებულია. რის გამოც მოთხრობა ვერ აკმაყოფილებს, არამც თუ გონება განსნილ კაცს არამედ უბრალო მკითხველსაც. ჩვენ ამით ის როდი გვინდა ვსთქვათ რომ თქვენ არ შეგემლოთ მოთხრობების წერა, სრულებითაც არა ჩვენ დარწმუნებული ვართ და გვჯერა კიდევ, რომ თუ განაგრძობთ და არ აჩქარდებით, უეჭველად მიადწევთ თქვენს წაღილს, თქვენს პაწიას მოთხრობას დაკვირვება და ნიჭი ეცუობა. სცადეთ კიდევ, ხოლო შემოსწენებული პირობები არ დაივიწყეთ. იმედი გვაქვს, რომ მოგვიგონებთ...

ბ—ნს სიმონ გოგლინიძეს. თქვენი კორესპონდენცია „ცრუ-მორწმუნეობაზედ“ ვერ დაიბეჭდება, რადგან თქვენი კორესპონდენცია სრულებით მოკლებულია კორესპონდენციის ხასიათს; მეორე—თქვენ სწერთ მდაბიო ხაღხის ცრუ-მორწმუნეობაზედ და თქვენ კი თვითონ გამსჭვალული ყოფილხართ ცრუ-მორწმუნეობით, მესამე—თქვენ მეტის მეტად აჭიანურებთ საქმეს და მეოთხე—ერთს რჩევას მოგცემთ: კორესპონდენციის შინაარსი უთუოთ რამე ფაქტზედ უნდა იყოს აგებული და არამც და არამც არ ჭტობადდეს ფრაზეოლოგიის მორეგში. სცადეთ კიდევ იქნება გამოდგეს.

ბ—ს ღ—ჭ—ს. კორესპონდენციები სასურველია, ხოლო ფაქტები და მარტო ფაქტები. მოიგონეთ პისარევის სიტყვები: Слова, иллюзии пропадают, но факты остаются!.. ნუ დაგვიწიყებთ. სცადეთ კიდევ.

რედაქტორ-გამომცემლის მაგიერ გ. გუხია.